ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ48. 482327611
თარიღი:03/10/2023

წყალტუბოს უნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძების, პირდაპირი განკარგვის წესით,

სარგებლობის უფლებით, სს ,,სილქნეტისათვის'' იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა'' პუნქტის, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 სექტემბრის №-49.49232715 და 2023 წლის 28 სექტემბრის №-49.49232717 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სს ,,სილქნეტს''პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის ფორმით-იჯარით 5 (ხუთი) წლის ვადით, გადაეცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები) ლითონის ბოძები დანართი 1-ის შესაბამისად ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსების მიზნით.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურმა მოამზადოს ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი ქონების გადაცემისათვის.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს (უფროსი მარეხ კანკაძე).

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი კუპრაძის ქ. №11).,

5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY №2 • წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია №2 • 221274546